გაერო შეშფოთებულია უკრაინის ხელისუფლების ქმედებების დისკრიმინაციული ხასიათით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ

Объединенные Нации
Права человека

Управление Верховного комиссара по правам человека

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.06.2023. შეშფოთება „იმის გამო, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ უკრაინის მთავრობის ქმედებების ერთობლივი გავლენა შეიძლება იყოს დისკრიმინაციული“, – გამოხატულია **„უკრაინაში ადამიანის უფლებათა ვითარების მიმოხილვაში“.** რომელიც გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის სამმართველომ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში (2023 წლის 1 თებერვალი - 30 აპრილი) უკრაინის მთავრობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაატარეს მთელი რიგი ზომები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ – კერძოდ, ჩატარდა ჩხრეკები ტაძრებში და სხვა საეკლესიო ობიექტებზე, სასულიერო პირების მიმართ ეჭვის გამო, რამდენიმე მათგანს, „მათ შორის უმე-ს ერთ-ერთ მთავარ იერარქს", შინაპატიმრობა შეეფარდა.

გარდა ამისა, უკრაინის კულტურის სამინისტრომ ვადაზე ადრე შეწყვიტა კანონიკურ ეკლესიასთან იჯარის ხელშეკრულება კიევ-პეჩერის ლავრასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია. ამასთან, მითითებულია, რომ „ხელისუფლებამ გაითვალისწინა გაეროს ადვოკატირების ძალისხმევა და თავი შეიკავა ქმედებებისგან, რომლებსაც შეიძლება ძალადობა გამოეწვიათ“ და ამიტომ თავი შეიკავა

ლავრიდან მონაზვნების იძულებითი გამოსახლებისგან, – როგორც მანამდე იყო ეს დაგეგმილი 29 მარტისთვის.

ასევე, მოყვანილია „უმე-ის საქმიანობის აკრძალვის“ ფაქტები ხმელნიცკის, როვნოსა და ვოლინის ოლქებში საქალაქო და საოლქო საბჭოების მიერ, ისე, როგორც ეს მანამდე გააკეთეს ლვოვის, ჟიტომირის, ვინიცისა და ტერნოპოლის ოლქების საოლქო საბჭოებმა – მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აკრძალვა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ჩარჩოებს სცილდება. ასევე, ბევრმა ადგილობრივმა საბჭომ იშუამდგომლა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კომუნალური ქონების იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

2023 წლის აპრილში, გაეროს ადამიანის უფლებათა სადამკვირვებლო მისიამ უკრაინაში დააფიქსირა „სიძულვილის ენის“ აფეთქება და კანონიკური ეკლესიის წევრების მიმართ ძალადობის რამდენიმე შემთხვევა. „სახელმწიფო მოხელეები, ბლოგერები და აზრების ლიდერები იყენებდნენ დისკრიმინაციულ და წამაქეზებელ რიტორიკას და ღიად მოუწოდებდნენ სასულიერო პირებისა და უმე-ს მხარდამჭერების წინააღმდეგ ძალადობისკენ. საანგარიშო პერიოდში მთავრობამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ეფექტურად შეწინააღმდეგებოდნენ „სიძულვილი ენასთან“ დაკავშირებულ ინციდენტებს“, – ნათქვამია დოკუმენტში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90490/